თვითმმართველი ქალაქის –ქუთაისის მერიის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი
№1

ქ. ქუთაისი 11 ივლისი 2012 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

კოტე რატიანი	– ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
ლევან ჭანჭალეიშვილი	–ქ. ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი.
ირაკლი გიორგაძე	– ქ. ქუთაისის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი.
ნოდარ მიქიაშვილი	–ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსის მოადგილე, კომისიის წევრი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი : კონკურსის მეშვეობით ქალაქ ქუთაისში სანიაღვრე ქსელების კაპ. შეკეთებისათვის საჭირო საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის შესყიდვის შესახებ.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის წევრმა ნოდარ მიქიაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგთან დაკავშირებით – საკონკურსო განცხადების და საკონკურსო დოკუმენტაციის - ქალაქ ქუთაისში სანიაღვრე ქსელების კაპ. შეკეთებისათვის საჭირო საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის პროექტი.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ – კოტე რატიანმა. კომისიის წევრებმა: ლევან ჭანჭალეიშვილმა და ირაკლი გიორგაძემ.

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს საკონკურსო კომისიის მიერ ქალაქ ქუთაისში სანიაღვრე ქსელების კაპ. შეკეთებისათვის საჭირო საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის სახელმწიფო შესყიდვისათვის წარმოდგენილი განცხადების და საკონკურსო დოკუმენტაციის პროექტი.
2. კონკურსი ჩატარდეს 2012 წლის16 ივლისს 12:00 საათზე.
3. საკონკურსო წინადადებების მიღების ვადათ განისაზღვროს 2012 წლის 16 ივლისი 10:00 საათიდან 12:00 საათამდე პერიოდი.
4. საკონკურსო წინადადებების მიღების ადგილად განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქის–ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახური (მის: 4600, ქ.ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №3, მე–3 სართული, ოთახი №323).

5. საკონკურსო განცხადება (თანდართული დოკუმენტებით) გამოქვეყნების მიზნით გაეგზავნოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მის ოფიციალურ ვებ–გვერდზე.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: კოტე რატიანი

კომისიის წევრები:

ლევან ჭანჭალეიშვილი

ირაკლი გიორგაძე

ნოდარ მიქიაშვილი